№ 237 მთავრობის ორგანო

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. სამშაბათი, 21 ოქტომბერი 1919 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

**მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი**

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. **ხელის მოწერის ფასი** ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.**

სამშაბათს ოქტომბრის 21 **„საბალეტო სპექტაკლი“**

I) კაპელია, II) **„ჯამბაზები“**. მონაწილეობენ: შულცინი, მარკოვი, ინაშვილი, თარხან მოურავი და პოლიანოვი. ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს, **„აბესალომ და ეთერი“**. ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს, **„ჰოფმანის ზღაპრები“** 2134 1—1

## ქართულ ლატარიის გამგეობა

ამით აუწყებს თვის პროვინციის კომიტეტების და აგენტების საყურადღებოდ, რომ ვინც **ამა თვის ოცდახუთამდის** არ წარმოადგენს გაუყიდველ ბილეთებს, შემდეგ კანტორა მათ ბილეთებს არ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს.

ლატარიის გათამაშება მოხდება ამა წლის 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში.

კანტორა (სასახლის ქ., № 5, ტელ. 7—61) ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 2059 7—3

## საჭიროა მასწავლებლები:

ყალამშის, გომარეთის, წერაქვის, ხატისოფლის, რატევანის, დუმანისის, სიონის, მიჯის, ვარდისუბნის, რეხის, კაზრეთის და ბალიჭის სახალხო სკოლებში (ბორჩალოს მაზრა).

**ჯამაგირი** თვეში 1.200 მან. ბინით, გათბობით, განათებით. მასწავლებელს მიეცემა საგზაო ფული სამსახურის ადგილამდე. სურსათის მხრითაც მასწავლებლები უზრუნველყოფილნი იქნებიან.

თხოვნების შეტანა და თან დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ვარლამ ბურჯანაძესთან (წ. კ. გ. საზოგადოების ბინაზე დამფუძნებელი კრების ქ., № 5). 2133 2—1

**საქართველოს რკინის გზის ექსპლოატაციის საკომერციო ნაწილი**

ამით აცხადებს, რომ დაკარგულ საქონლის გამო შემოტანილ საჩივრების განხილვის შემდეგ, საკომერციო ნაწილი არავითარ მიწერ-მოწერას არ აწარმოებს იმ მომჩივან პირთან, რომელიც ცხოვრობს საქართველოს საზღვრების გარეშე, თუ უკანასკნელი არ გამოგზავნის დაზღვეულ ბარათის ღირებულებას პასუხის მისაღებად. 2049 3—3

## ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**სახაზინო რკინის გზის სამმართველოსათვის ამა 1919 წლის იანვრის 1-დან ივნისის 4-დე სამკურნალო-სასანიტარო ნაწილზე გაწეული ხარჯის დასაფარავად 1.104.120 მანეთისა და საეკლესიო ნაწილზე ამა 1919 წლის იანვრის 1-დან აპრილის 1-მდე გაწეული ხარჯის დასაფარავად 28.302 მანეთის კრედიტის გახსნისა.**

1. გაეხსნას სახაზინო რკინის გზის სამმართველოს ერთი მილიონ ას ოთხი ათას ასოცი (1.104.120) მან. კრედიტი ამა 1919 წლის იანვრის 1-დან ამავე წლის იანვრის 1-მდე სამკურნალო და სასანიტარო ნაწილისათვის გაწეული ხარჯის დასაფარავად.

2. მასვე გაეხსნას ოცდარვა ათას სამას ორი (28.302) მან. კრედიტი ამა 1919 წლის იანვრის 1-დან ამავე წლის აპრილის 1-მდე საეკლესიო ნაწილისათვის გაწეული ხარჯის დასაფარავად.

1919 წ. ოქტომბრის 14-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

**ს. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი.

**გვარდიის საჭიროებისათვის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 10 მილიონი მანეთის გადადებისა.**

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის ათი (10) მილიონი მანეთი.

2. აღნიშნული თანხა შევიდეს სახალხო გვარდიის ამა 1919—20 წლის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ოქტომბრის 17-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

**ს. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

## ბრძანება

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის.**

14 ოქტომბერი, 1919 წ., № 27.

1. სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის ბრალმდებელად დაინიშნოს სასამართლო პალატის ბრალმდებელი ა. ს. გელაზარაშვილი;

სამოქალაქო დეპარტამენტის ბრალმდებლად—სასამართლო პალატის თავმჯდომარე მ. მ. მღდვლიშვილი.

2. ბრალმდებლის ამხანაგებად დაინიშნონ:

ა) ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე—პ. კიზირია.

ბ) ტფილისის სასამართლო პალატის წევრი—ა. გელოვანი.

გ) სამხედრო სასამართლოს ბრალმდებელი—ვეზირიშვილი.

დ) ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი—ი. კოსტავა.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

მთავრობის საქმეთა მმართველი

**ქ. ჯაფარიძე.**

## განკარგულებანი

**საქართველოს სენატის კანცელარიისათვის.**

**ინიშნებიან საქართველოს სენატის კანცელარიაში:** ვლადიმერ ცაგურია—სამოქალაქო დეპარტამენტის მდივნის თანაშემწეთ, მარიამ დავითის ასული თარხან-მოურავი, ნინო გიორგი ადამიას ასული, და თამარა დიმიტრის ასული მეტრეველი—იმავე დეპარტამენტის კანცელარიის მოხელეებად; ყველანი 18 ღვინობისთვიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე

**დ. ხელთუფლიშვილი.**

—

**საქართველოს მუზეუმის დირექტორისა.**

ღვინობისთვის 18. № 453.

მუზეუმის დირექტორის ბ. ნოე მანუჩარის ძე ყიფიანის ბათომის და ოზურგეთის მიდამოებში გეოლოგიურ და მინერალურ გამოკვლევათა საწარმოებლად გამგზავრების გამო, დროებით მის თანამდებობის აღსრულება დაევალა იმავე მუზეუმის ბოტანიკურ განყოფილების დროებით გამგეს ბ. ბორის შიშკინს.

მუზეუმის დირექტორი **ნ. ყიფიანი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

**11 ოქტომბრის სხდომა.**

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; მინისტრები: ბ-ნნი გეგეჭკორი, რამიშვილი, კანდელაკი, ხომერიკი; მინისტრთა ამხანაგები: ცინცაძე, პეპინაძე, ქარცივაძე, ავალიანი, გედევანიშვილი; სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი ბ-ნი ანდრონიკაშვილი; დეპარტამენტის დირექტორები: ბ-ნნი ქიქოძე, პეპინაძე. საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე; მდივანი დ. დიდებულიძე.

**დახმარება სოფ. გიორგეთელებს.**

მთავრობა პრინციპიალურათ თანახმაა სოფ. გიორგეთის მცხოვრებთ სათესლე ხორბალის შეძენაში აღმოუჩინოთ დახმარება. სათანადო თანხა უნდა გამოთხოვილ იქნას შინაგან საქმეთა უწყების მიერ დამფუძნებელ კრებაში შესაფერი დეკრეტის წარდგენით.

**გვარის შეცვლა.**

სამხედრო სკოლის მაიორს ვასილ პეტრეს ძე გასპაროვს (იგივე გასპარაშვილი—მესხელი) თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას და ეწოდოს მას და მის შთამომავლობას „მესხელი“.

**სასურსათო ფონდი მუშა-მოსამსახურეთათვის.**

სატარიფო პალატის შუამდგომლობა რესპუბლიკის მუშათა და მოსამსახურეთათვის საერთო—სანოვაგის ფონდის დაარსების შესახებ პრინციპიალურად მოწონებულ იქნას. დაარსდეს კომისია შრომის (თავმჯდომარე), ფინანსთა, გზათა და სახელმწიფო კონტროლის უწყებათა წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალოს შეიმუშავოს პირობები და წესი აღნიშნულ საქმის განსახორციელებლად.

**მომარაგების სამმართველოს მომარაგების დეპარტამენტათ გადაკეთება.**

მომარაგების მთავარი სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება, გაუქმებულ იქნას. გაუქმებულ იქნას მომარაგების მთავარი საბჭო. მომარაგების მთავარი სამმართველო უერთდება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს და შეადგენს რესპუბლიკის ახალ მომარაგების დეპარტამენტს, რომელიც ექვემდებარება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჭრობა-მრეწველობის და მომარაგების დეპარტამენტთა შორის უთანხმოებას ექნება ადგილი, საკითხი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით, წარედგინება მთავრობას გადასაწყვეტად. ყოველგვარი დაწესებულება, რომელიც მომარაგების საქმეს განაგებს, (როგორც სასურსათო საბჭო, მომარაგების კომიტეტი) გაუქმებულ იქნეს და მათი ვალდებულება გადავიდეს მომარაგების დეპარტამენტზე.

დაევალოს ფინანსთა მინისტრს შემდეგი სხდომისათვის წარმოუდგინოს მთავრობას წესი აღნიშნულ დადგენილებათა ლიკვიდაციისა.

**გემების შეძენის შესახებ.**

სატრანსპორტო საზოგადოების პირობები გემების შეძენის საქმის განსახორციელებლათ 50,000 ფუთი თუთუნის შესყიდვის და საზღვარ გარეთ გატანისა მიღებულ იქნეს, მხოლოთ საჭიროთ იქნეს ცნობილი, რომ აღნიშნული თუთუნის შესყიდვა ხდებოდეს მთავრობის მონაწილეობით, განსაზღვრულ ფასებში და მთავარ მომარაგების სამმართველოს მიერ შემუშავებულ წესით.

**14 ოქტომბრის სხდომა.**

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ევგ. გეგეჭკორი, მინისტრები: ბ-ნნი: ხომერიკი, კანდელაკი, რამიშვილი; სახელმწიფო კონტროლიორი ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები: ერაძე, გელეიშვილი, ავალიანი, გედევანიშვილი, პეპინაძე; იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ქიქოძე; საქმეთა მმართველი—ქ. ჯაფარიძე. მდივნობს—დ. დიდებულიძე.

**50 მილიონის გადადება სასურსათო ფონდისთვის.**

პროექტი დეკრეტისა მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადადებისა, სახელმწიფო მუშების და მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ, მიღებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**საქართველოს წარმომადგენლების დანიშვნა ამერიკაში და ყუბანში.**

რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლათ ამერიკაში გაიგზავნოს დავით ღამბაშიძე; ყუბანში—საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დიომიდე თოფურიძე და გენერალი ოდიშელიძე.

**პური და ფურაჟი ჯარისთვის.**

ჯარისათვის პურის და ფურაჟირის დასამზადებლათ გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ყოველ კვირეულათ 75,000 მან.

**500000. მ. გადადება სამხედრო უწყების მოსამსახურეთა დასახმარებლათ.**

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 500,000 მან. სამხედრო ფონდიდან ახალციხე, ახალქალაქის, სოჭის და სხვა ფრონტებზე დაზარალებულ სამხედრო მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

**სამხედრო უწყების ბინისთვის.**

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 8,600,000 მან. სამხედრო ფონდიდან (სამხედრო უწყების ახალი ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში) სამხედრო უწყების ბინებით უზრუნველსაყოფათ.

**სალიკვიდაციო ჯილდოსთვის.**

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 8,506 მ. 27 კ., სამხედრო ფონდიდან, ყოფილ სამხედრო გიმნაზიის დაბალ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლათ.

**დახმარება სააქციზო სამმართველოს მოსამსახურეთათვის.**

სააქციზო სამმართველოს განკარგულებაში გადაიდოს 5000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან მოხელეთათვის ავათმყოფობისა და უბედურ შემთხვევის დროს დახმარების აღმოსაჩენათ.

**გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა საბაჟოებისთვის.**

გადაიდოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებაში 4,620 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 მილიონიან ფონდიდან საბაჟოებისთვის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერათ.

### რომის ბანკი ტფილისში.

ტფილისში რომის ბანკის განყოფილების გახსნა ნება დართულ იქნეს.

### სენატის ბრალმდებელნი.

სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის ბრალმდებლათ დაინიშნოს სასამართლოს პალატის ბრალმდებელი ა. გელაზარიშვილი; სამოქალაქო დეპარტამენტის ბრალმდებლათ— მ. მ. მღვდლიშვილი; ბრალმდებლების ამხანაგებათ დაინიშნონ: ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე პ. კიზირია. ტფილისის სასამართლოს პალატის თავმჯდომარე—ა. გელოვანი, სამხედრო სასამართლოს ბრალმდებელი—ვეზირიშვილი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი—ი. კოსტავა.

### გამომძიებლის დანიშვნა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის თანამდებობათა ალმასრულებელი დევიძე დამტკიცებულ იქნეს აღნიშნულ თანამდებობაზე.

### სოფლის მამულის გაყიდვის შესახებ.

პროექტი დეკრეტისა ნორმაში დატოვებულ სოფლათ მდებარე მამულების გაყიდვის და დაგირავების უფლების მიცემისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

### მუშათა დაზღვევის კანონის მუხლის შეცვლა.

კანონ პროექტი მუშათა დაზღვევ კანონების მე 65 მუხლის შეცვლის მიღებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

### ჯამაგირები ტყიბულის მაღაროს მუშებისთვის.

პროექტი დეკრეტისა ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა ა/წ. აგვისტოს და სექტემბრის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ 1, 200,000 მან მიღებისა გაღებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

## საგარეო საქ. სამინისტროში

### მინისტრთან წარდგომა.

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგნენ: ბრიტანიის სარკინისგზო კომისიის უფროსი გენ. ბრაფი, იტალიის მისიის მეთაური პოლკ. გაბბა და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ევანგულოვი, რომელთაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მინისტრთან.

### იტალიის მთავრობის დეპეშა.

იტალიის მისიის უფროსმა პოლკ. გაბბამ საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი დეპეშა გადმოსცა: „საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ნოე ჟორდანიას.

თქვენო აღმატებულებავ!

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ იტალიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღე: იტალიის მისიას ტფილისში. გთხოვთ საქართველოს მთავრობას გადასცეთ იტალიის სამეფოს მთავრობის მადლობა დელეგაციის გამოგზავნისთვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა“.

## გზათა სამინისტროში

### გადასახლებულთა გადაყვანის წესი.

გზათა მინისტრის განკარგულებით № 12199 16/X რესპუბლიკის საზღვრებში დასასახლებლათ გადასახლებულთა გადაყვანის დროს დადგენილია შემდეგი წესი: მათი გადაყვანა და ბარგის გადატანა უნდა მოხდეს მოწმობით, რომელსაც იძლევა მიწათ-მოქმედების სამინისტრო. გადასახლებულნი უნდა გადაყვანილ იქნეს მეოთხე კლასის ტარიფით და მათი ბარგი მცირე სისწრაფის კომერციულ ტარიფით მიწათ მოქმედების სამინისტროს ხარჯით. მოწმობების წარმომდგენთ უნდა მისცეს სადგურმა მესამე კლასის ბილეთი უფასოთ, რომელზედაც აღნიშნული იქნება „უფასო“. მოწმობას კი დატოვებენ და აღნიშნავენ ზედგამგზავრებულ გადასახლებულთა რიცხვს და იმ თანხის რაოდენობას, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ. ჩამორთმეული მოწმობები უნდა წარდგენილ იქნეს გადასახადთა განყოფილებაში, რომელიც ყოველ თვიურათ ადგენს გადასახლებულთა და მათ ბარგის სიის მოწმობების №№, მათი გადასაყვანი და ბარგის გადასატანი ღირებულების აღნიშვნით და შემდეგ წარადგენს მიწათ მოქმედების სამინისტროში.

## ხელოვნების კომისიაში

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიაში მოხსენება გააკეთა ბ. ე. თაყაიშვილმა კულტურულ ისტორიულ ძეგლების და ნაშთების დაცვის შესახებ. კომისიის დადგენილებით მიენდო ბ. ე. თაყაიშვილს კანონ-პროექტის შედგენა სიძველეთა დაცვის შესახებ დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად.

### დახმარება დ. კლდიაშვილს.

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა მწერალთა საპენსიო კანონის დამტკიცებამდე დამსახურებულ მწერლის დ. კლდიაშვილის დასახმარებლად ყოველთვიურად 2000 მან. გადაიდოს.

### მწერალთა დასახმარებლათ გადასახადის შემოღება.

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დაადასტურა განათლების სამინისტროს პროექტი გასართობ ადგილების ბილეთებზე საგანგებო გადასახადის დაწესების შესახებ დამსახურებულ მწერალთა და მსახიობთა დასახმარებლათ.

## დამფუძნებელი კრება.

### 17 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული)

**ერაძე** (შრომის მინისტრის ამხანაგი) ეს საკითხი, ბ-ბო, ჩვენს წინაშე მეტად სერიოზულათ სდგას, ვინაიდან მუშების გაჭირვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. თუ ჩვენ ვერ გამოვნახეთ შესაფერი ზომები და საშუალებანი, რომ მუშა ხალხი დავიხსნათ ამ მდგომარეობიდან, ჩვენს ხალხს, რესპუბლიკას დიდი უბედურება მოელის. მუშათა კლასის ეკონომიურათ დაქვეითება და გაღატაკება ომიანობის ხანიდან დაიწყო. ომიანობა იყო უმთავრესი მიზეზი, რომელმაც დააქვეითა და გაანადგურა საწარმოვო ძალები, ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა. მან მოუმზადა ნიადაგი მუშათა კლასის გაღატაკებას.

სიძვირე პერიოდიულათ იზრდებოდა ომიანობის ხანაში. მაგრამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო მან რევოლიუციის ხანაში. ზოგი წარმოება ომზე იყო დამოკიდებული. და ის მუშებიც, რომლებიც ასეთ დაწესებულებებში მუშაობდენ, ომის შეწყვეტისას გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ.

ომი მრავალ მუშას ასაზრდოვებდა. მოისპო ომიანობა, დაიხურა მრავალი დაწესებულება და იმას მოყვა კრიზის გაღრმავება.

ასეთ შედეგს ვერ ასცდენ ისეთი დიდი სახელმწიფონიც კი, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია. მით უმეტეს ვერ ასცდებოდა ამას ჩვენი ქვეყანა.

მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. მუშათა კლასის მდგომარეობა იმ ზომამდე მივიდა, რომ მათ აღარ შესწევდათ ძალა ნორმალურათ მუშაობისა. 16 მართლმადიდებელ ეკლესიის ცნობით მუშათა შორის სიკვდილი 20% გაიზარდა.

ერთად ერთი საშვალება ამის წინაალმდეგ ბრძოლისა იყო ხელფასის შეფარდება სიძვირესთან. ხელფასის შეფარდება სიძვირესთან კიდევ შესაძლებელი იყო და მას რეალური ღირებულება ქონდა ორი წლის წინათ. მაგრამ ეს შეფარდება დაირღვა და ამ ორი წლის განმავლობაში მან კატასტროფიული ხასიათი მიიღო.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ დიდ კონტრასტს სიძვირესა და ხელფასს შორის.

| | ფასი პირველ საჭირ. საგნ. | სამუშაო ქირა |
|---|---|---|
| 1914 წ. | 100 | 100 |
| 1915 „ | 115,38 | 106,28 |
| 16 „ | 176,91 | 123,85 |
| 17 „ | 276 92 | 148,54 |
| 18 „ | 1176,69 | 418,41 |
| აპრილ. 1919 „ | 6430,77 | 1616.74 |
| სექტ. 1919 „ | 7556,15 | 2182,43 |

ამგვარათ სიძვირე $3^1/_2$ მეტია, ე. ი. ამდენადვე დაქვეითებულა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა. ასეთივე მდგომარეობაში იყო მუშათა კლასი ამ წლის დამდეგს, მაგრამ მაშინ ისეთი სიმკაცრით ვერ გრძნობდენ მდგომარეობას, როგორც დღეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ მას მაშინ კიდეც ქონდა საშუალება, როგორც მომხსენებელმა გაუწყოთ, შავი დღისთვის გადანახული ორიოდე გროში, რომელიც ინახებოდა შემნახველ კასებში, გამოეტანათ და დაეხარჯათ. როცა კი ეს ფულიც დაიხარჯა, მაშინ მათ დაიწყეს ტანისამოსის და ავეჯეულობის გაყიდვა. მუშათა ორგანიზაციების ცდა, რომ სამუშაო ხელფასი შეეფარდებიათ სიძვირესთან, უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან მთავარი მიზეზი რეალურ ღირებულების დაცემისა იყო არა ის, რომ მუშას ფული ხელში არ ეჭირა, არამედ ის, რომ სახელმწიფოში ნაციონალურ სიმდიდრის შექმნა დაქვეითდა, ბაზარზე საჭირო საქონელი აღარ იყო.

ამ მდგომარეობას გაუწიეს ანგარიში მუშათა ორგანიზაციებმა და შრომის უწყებამ, საჭიროთ დაინახა აღდგენილ იქმნას სახელმწიფოს საწარმოვო ძალები. მაგრამ ეს პროცესი ალბათ დიდი ხნისა არის და დამოკიდებულია, როგორც შინაურ ქონებრივ პირობებზე, ისე საგარეო ობიექტიურ პირობებზე. ჩვენი ცდა აქეთკენაა მიმართული და ჩვენდა საბედნიეროთ მუშათა ორგანიზაციებიც ამ გზას ადგიან. მათ იციან, რომ მუშათა კლასის ეკონომიური ბედნიერება, საწარმოვო ძალთა გაძლიერებაზეა დამოკიდებული.

დღევანდელ ბრძოლაში სპეკულაციასთან იმ საშვალებებით, რომლითაც აქამდე ვებრძოდით, ჩვენ დიდ ნაყოფს ვერ დავინახავთ. ასეთი ბრძოლა საკმარისი არ არის. საჭიროა ახალი ზომები, ახალი გზა. ეს გზა არის—სახელმწიფოს გამოსვლა საწარმოვო ბაზარზე კონკურენტათ. ასეთ საშვალებით ჩვენ შეგვიძლია უკეთესად მოვაწყოთ პირველ საჭიროების საგნების მიწოდება მომხმარებელთათვის და ლაგამიც ამოვსდოთ სპეკულიაციასაც. მხოლოდ ამ ზომით მივაღწევთ ჩვენ ჩვენს მიზანს.

წვრილი ვაჭრები ვერ შესძლებენ გაუწიონ მთავრობას კონკურენცია. კონკურენციის გაწევა არ შეუძლია სპეკულიაციასაც, რადგან სახელმწიფოს ხელში არის საშვალება შეიძინოს საჭირო საქონელი, რის შეძლებაც სპეკულიაციას არა აქვს,—ეს არის სავალიუტო საქონელი.

რომ ეკონომიური მდგომარეობა მუშათა კლასისა გაუმჯობესებულ იქმნას, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში, ჩვენ ვთხოულობთ, რომ დამფუძნებელმა კრებამ გადასდოს მთავრობის განკარგულებაში 50 მილ. მანეთი.

ჩვენს სახელმწიფოს დაახლოვებით 40 ათასი მოსამსახურე ყავს და რომ ვიანგარიშოთ ოთხი სული თვითეულ მოსამსახურის ოჯახზე, გამოდის, რომ შესაძლებელია შეძენილ იქნეს 1 თვის ფქვილი, ნავთი, შაქარი,—შეიძლება შარვალი და ხალათიც შევიძინოთ ამ ფულით. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ შესაძლებელია ამ ოპერაციის დროს შეძენილი საქონელი სახელმწიფოს მიერ ძვირი დაჯდეს და ძნელი შესაძენი გახდეს, მაგრამ მაინც მოსაგებია და უკეთესი სახელმწიფოს ფინანსების გასამაგრებლათ და ეკონომიურ მდგომარეობის განსამტკიცებლათ—თვით მუშათა კლასის სასარგებლოდ. თუმცა შეიძლება ამით იზარალოს მთავრობამ, მაგრამ მაინც უნდა მიაწოდოს მუშათა კლასს დაკლებულ ფასებში. ამით ჩვენ მივაღწევთ ორ მიზანს: ერთი,—რომ შემცირდება ბეჭდვა ბონებისა და დაცემა ჩვენი ფულისა ისეთი აღარ იქნება როგორც დღეს. მეორე,—მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიღწეულ იქნება.

ამ მიზნისთვის ჩვენ ვთხოულობთ 50 მილ. მანეთის გადადებას მთავრობის განკარგულებაში.

ამ საქმეს მთავრობა მიანდობს მუშათა ორგანიზაციებს, ვინაიდან ჩვენ არ გვინდა ამისთვის ახალი აპარატის შექმნა.

მერეს მხრივ ეს ორგანიზაციები გამოიყენებენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც უფრო გამოსადეგნი არიან საქონლის განაწილებაში და დარიგებაში: კოოპერატივებს, ქალაქის დუქნებს და აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებებს.

რა მონაწილეობა უნდა მიიღონ, ან როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ ის მუშები და მოსამსახურენი, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებში არ არიან? ჩვენის აზრით [illegible] უნდა იყოს საერთო საზოგადო ზომა.

ის მწარმოებელნი, რომლებიც არ არიან დაინტერესებული წარმოების ნაციონალურ ნიადაგზე დაყენებაში და სპეკულიაციის შემწეობით სურთ მოგების გადიდება, ამ ზომის წინაალმდეგი არიან. ისინი წინაალმდეგი არ არიან ჯამაგირების გადიდებისა, მათთვის უფრო ხელსაყრელია, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა ჯამაგირების მომატებით კმაყოფილდებოდეს, ვიდრე სხვა რამ საშულებით—იგი ერთ დონეზე იყოს მუდმივ.

ამ მხრივ დიდი ენერგია გამოიჩინეს თამბაქოს ქარხნის პატრონებმა. მათ ჯამაგირი უფრო მეტი მისცეს მუშებს, ვიდრე უკანასკნელნი მოითხოვდენ. ამით ისინი დემაგოგიასაც ეწეოდენ და ეუბნებოდენ მათ: თქვენი ორგანიზაციები, თქვენი მთავრობა და შრომის უწყება წინაალმდეგი არიან მომატებისა, ჩვენ კი კი მომხრენი ვართო.

ჯამაგირი მოუმატეს, სამუშაო ხელ-ფასი გაადიდეს იმიტომ, რომ ანარქიულ მდგომარეობით ამ ფაბრიკანტებს ეძლეოდათ საშუალება განუსაზღვრელათ, უკრიტიკოთ გაედიდებიათ საქონელზე ფასი. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ როცა სამუშაო ხელ-ფასმა იმატა 40%-ით, მაშინ საქონელი 100% იქნა გაძვირებული. ასეთი გაძვირება, რომელიც აუცილებლად სხვა დარგებშიაც არევ დარევას და სიძვირეს ზრდის, უნდა მოსპობილ იქნას. და ამიტომ ჩვენ მიერ დასახელებული ზომა უნდა იყოს საყოველთაო, რადგან იგი ამ მხრაც სასარგებლოა. მხოლოდ იმგვარათ უნდა დავაყენოთ საქმე, რომ ამაში მონაწილეობა მიიღოს საზოგად. ორგანიზაციებმა და თითონ მწარმოებლებმა. ამ მონაწილეობისთვის ჩვენ ვთხოულობთ, რომ მთავრობას ჰქონდეს ნება შეუთანხმდეს კერძო მწარმოებლებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ მათ შემოიტანონ საჭირო თანხა და მუშებს მიეცეს იმავ წესით და რიგით, რა წესითაც დაურიგდება საქონელი სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთ.

ასეთია ჩვენი მოსაზრება ამ საკითხზე.

**თავმჯდ.** სიტყვა ეკუთვნის შ. მესხიშვილს.

**შ. მესხიშვილი** (ს. ფ.) სოც.-ფედ. ფრაქციის სახელით ეგებება დეკრეტს. ორატორი აღნიშნავს, რომ თუ ზომები არ იქნა მიღებული, მუშათა კლასი, რომელიც საფუძველია რესპუბლიკისა, დეგენერაციის გზას დაადგება. ასეთი ზომები დიდი ხანია უნდა ყოფილიყო მიღებული. ეს ის ნაბიჯია, რომელიც ჩვენ განვმარტეთ დეკლარაციაში. ამას გარდა საჭიროა ხელფასის მომატება, რადგან ეს 50 მილ. მან. პალიატივი არის, რომელიც საკითხს ვერ გადასწყვეტს.

**თავმჯდ.** ვინაიდან უკვე 3 საათია, რეგლამენტის ძალით სხდომა უნდა დაიხუროს მაგრამ წინადადებაა კამათი გაგრძელდეს. ვის სურს სიტყვა ამის შესახებ? სიტყვა არავის სურს. ვინ არის კამათის გაგრძელების მომხრე? კამათი გრძელდება. სიტყვა ეკუთვნის სპ. კედიას.

**სპ. კედია** მე მგონია ვერც ერთი ადამიანი, რომელიც ჩახედულია ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ მდგომარეობაში და გათვალისწინებული აქვს ცხოვრებისაგან ის საშუალებანი და ზომები, რომლებთანაც შესაძლებელი არის ქვეყნის ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, ჩვენი რწმენით ვერ მიეგებება ამ დეკრეტის ისეთი აღტაცებით, როგორც მას მიეგება სოც.-ფედ. ფრაქცია. არ მიეგებება იმიტომ, რომ ეს დეკრეტი ჩვენ გვაჩვენებს სამწუხარო ამბავს, სახელდობრ იმას, რომ მთელი წლინახევრის მოქმედების შემდეგ, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გადასინჯვის შემდეგ ჩვენ მივედით ისეთ ნაბიჯამდე, რომ დღეს საჭიროთ დავინახეთ მუშებისთვის ნამდვილი სუბსიდიის მიცემა. ეს სამწუხარო არის აგრეთვე იმიტომ, რომ ასეთი აღტაცებით მიეგება დეკრეტისადმი აჟღავნებს ორ რამეს: რომ ჩვენში სჭარბობს გრძნობა და ფილანტროპია და ნაკლებათ არის საღი ანალიზი მდგომარეობისა. სახელმწიფოს მხოლოდ კეთილი გრძნობებით ვერ შევქმნით. საჭიროა უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი პოლიტიკა. ეს დეკრეტი, როგორც ასეთი არ არის მისაღები. ის არის სამწუხარო აბი, რომელიც უნდა გადაყლაპოს დამფუძნებელმა კრებამ.

**თავმჯდ.** სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

**ნ. ბ. რამიშვილი** (შინაგან საქმეთა მინისტრი) მოქალაქენო! დამფუძნებელ კრების წევრნობ აქ ორი მხრიდან დაიწუნეს ჩვენი პოლიტიკა და ჩვენთვის ეს გასაკვირალი არ არის. ერთი მხარე ჩვენ ფილანტროპიას გვისაყვედურებდა და მე მგონია, რომ იმ პარტიისათვის, რომელიც წარმოადგენს ერთ ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას, რომელიც მართლაც მხოლოდ ხელგაშლილობით იყო ცნობილი, ასეთი მამა-პაპური ჩვეულების გამომჟღავნება ბუნებრივია. მაგრამ ეს საყვედური მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ ნაკლს სახელმწიფოს თვისებათ აცხადებენ, და ნამდვილათ კი რას ვხედავთ:

ის გზა, რომელსაც ადგა მთავრობა, არის ერთად ერთი სწორი და სამართლიანი გზა. და რომ ეს ასეა, მოწმობს არა მარტო ჩვენი პოლიტიკა, ამას მოწმობს ყველა მოწინავე ევროპიულ სახელმწიფოს პოლიტიკა. განა ახალია თქვენთვის, რომ ყველა იმ ქვეყნებმა, რომლებმაც განიცადეს ომიანობის სუსხი, დიდძალი თანხა გაიღეს პურისა და სხვა სანოვაგის შესაძენათ? ისეთი პრაქტიკული ხალხი, როგორც გერმანელებია, ასეთ პოლიტიკას ადგია. ასეთ პოლიტიკის შესახებ იქ არავის არ უთქვამს, რომ ამით ისინი ფლანგავენ ხალხის ქონებას. თქვენ დაგავიწყდათ, რომ ჩვენ განვიცადეთ ხუთი წლის ომი და ყველა სახელმწიფო, რომელსაც სურს მოაწესრიგოს თავისი ეკონომიური ცხოვრება, ვალდებულია თავიდან აიცდინოს ეს მწვავე შედეგი ომისა და ჩვენში კი რევოლიუციისაც (გვაზავა: აქაური გაღრმავების შედეგი). სწორეთ ჩვენ ავიცდინეთ თავიდან ის ანარქია, რომელსაც თქვენ ხშირათ უწყობთ ხელს (კედია: ბ-ნი მინისტრო, ეგ არ არის მართალი). მე არ შემიძლია რომელიმე დეპუტატს ვედავო ამ ტრიბუნიდან, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ის წრეები, რომლის წარმომადგენელნი თქვენა ხართ, ქმნიან ანარქიას (კედია: საბუთები, ბ-ნო მინისტრო! ეგ მხოლოდ სიტყვებია!). საბუთებსაც მოვიყვანთ თავის დროზე, თქვენ გვიწუნებთ ეკონომიურ პოლიტიკას, მაგრამ მე კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ყველა ის ქვეყნები, რომელნიც მართლაც დაინტერესებული არიან რომ ომიანობის სუსხი რამდენიმედ მაინც გაანელონ, სიძვირე შეასუსტონ, იძულებული არიან ისეთ გზას დაადგენ, ისეთი პოლიტიკა აწარმოვონ, როგორსაც ჩვენ ვაწარმოვებთ. ამიტომ აქ ზედმეტია ფილანტროპიაზე ლაპარაკი.

რაც შეეხება ბ-ნ ფედერალისტებს—(ს. დადიანი: სოციალისტ-ფედერალისტებს!) ბ-ნ ფედერალისტებს, რასაკვირველია, საჭირო წარწერა გაუკეთოთ: „се лев, а не собака“— უნდა მოგახსენოთ, რომ მე გამიკვირდა ერთი რამ: ბ-ნ მესხიშვილის გამოსვლა მეტის მეტად ზრდილი იყო; მან არ სთქვა, როგორც ყოველთვის, რომ ხომერიკის კანონის გამოქვეყნებამ გამოიწვია ის გაძვირება, რომელსაც ჩვენ განვიცდით და ვინაიდან მან ეს არა სთქვა, ეს არის დიდი ნაბიჯი გადადგმული ფედერალისტების მიერ. მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბ. მესხიშვილმა ჩვენი წრე დასტოვა, ერთი დიდი ნაბიჯი გადაუდგამს. რაშია საქმე? ლაპარაკობენ, ჩვენ მთავრობაში და ყოველგან უმცირესობას წარმოვადგენდითო. მე კატეგორიულათ ვაცხადებ ამ ტრიბუნიდან, რომ მათ მთავრობაში არასოდეს არც ერთი ამის მსგავსი წინადადება არ შემოუტანიათ, და თუ თქვენ იცნობთ მათ პარტიას, დარწმუნდებით, რომ ვერც შემოიტანდენ. მაგრამ ეს საჭირო შეიქმნა მათთვის, როდესაც ისინი მთავრობიდან გამოვიდენ. ყრილობამ მათ ოპოზიცია დაავალა. მაგრამ ასეთი ოპოზიციით შეიქმნება მხოლოდ ერთნაირი ხმაურობა და არა სერიოზული ოპოზიცია. ჩვენ გვისაყვედურებთ და მოითხოვთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლას, მაგრამ ამ მდგომარეობაში ჩვენზე უფრო ადრე იმყოფებოდენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები—რევოლიუციონური გერმანია და რევოლიუციონური ავსტრია და განა რომელიმე პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა, წამოაყენა იქ ის, რასაც თქვენ მოითხოვთ? თქვენ კარგათ იცით, რომ ის ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, არის შედეგი სხვა და სხვა პირობებისა. ჩვენ მოწყვეტილი ვართ გარეშე ქვეყანას და ჩვენი წარმოების განვითარება შეუძლებელი არის და მით უმეტეს ისეთი რეცეპტების საშუალებით, რომელთაც ფედერალისტები გვირჩევენ. მას შემდეგ, რაც ფედერალისტების პარტიას მოშორდა ბოლშევიკური ნაწილი—მაშვრალთა პარტია,—მათ თვით შეითვისეს მაშვრალთა ლოზუნგები. თუ თქვენ მართლაც მეორე გზას ადგეხართ და არა ბოლშევიკურს, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ მეორე სხვა რევოლიუციონური გზა არ არსებობს. ერთი გზა არის, რომელსაც ჩვენი გერმანელი ამხანაგები ადგიან და მათი საუკეთესო ხელმძღვანელი კ. კაუცკი. თუ თქვენ ვერ დაამტკიცებთ, რომ ისინი სხვა გზას ადგიან, რომ ისინი დაიწუნებენ ჩვენი მთავრობის პოლიტიკას და თუ თქვენ სხვა ზომები გაქვთ და არა მაშვრალთა პარტიისა...

მაგრამ თუ პარტიას სურს სერიოზული ოპოზიცია და არა დემაგოგია, მან უნდა იცოდეს, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, არის ერთად ერთი სწორი გზა, სხვა რომელიმე გზა ეკონომიურ პოლიტიკაში არ არსებობს და არც შეიძლება იყოს იმ ქვეყნებში, რომელთაც სურთ განამტკიცონ დემოკრატიული წყობილება და მოამზადონ ნიადაგი, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მუშათა კლასს.

**თავმჯდ.** სიტყვა ეკუთვნის ვ. **ჯუღელს.**

**ვ. ჯუღელი.** დღეს ყველაზე უფრო გაჭირვებულია მუშათა კლასი და ჩვენ მათ ვეხმარებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაც უფრო გავაუმჯობესებთ მუშათა კლასის მდგომარეობას აქ, ტფილისში, რომ უკეთესად გაუძღვეთ შიმშილობის საქმეს სოფელში. აქ საკამათო არაფერია და ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ დამფუძნებელი კრება სავსებით მხარს დაუჭერს დეკრეტს, რომელიც შემოიტანა შრომის სამინისტრომ და წინადადებას იძლევა, რომ მთავრობა რაც შეიძლება გააღრმავებს იმ პოლიტიკას, რომელიც მუშათა კლასის და საერთო ეკონომიურ ცხოვრებას განამტკიცებს და აამაღლებს.

**თავმჯდ.** ჩაწერილია სამი ორატორი. მაგრამ შემოვიდა წინადადება ს.-დ. ფრაქციის მიერ, რომ რადგან საკითხი გამორკვეულია, კამათი შესწყდეს.

**სამსონ დადიანი** (ს.-ფ.) თხოულობს კამათის გაგრძელებას და მისცენ საშვალება პასუხის გაცემისა.

კენჭის ყრით კამათი შესწყდა.

**გრ. ურატაძე** (მომხსენებელი) არსებითად დეკრეტის წინააღმდეგ არც ერთ ფრაქციის წარმომადგენელს არაფერი უთქვამს.

ორატორი უპასუხებს შ. მესხიშვილს და სპ. კედიას.

მთავრობას საშვალება მიეცემა საქონელი, რომელიც საწყობში აქვს, იაფად გამოუშვას ბაზარზე და დეფიციტი დაფაროს იმ 50 მილ. მან., რომელსაც იგი თხოულობს. შრომის კომისია ფიქრობს, რომ დამფუძნებელ კრებას არაფერი ექნება საწინააღმდეგო ეს ფული გადაიდვას ამ მიზნისთვის მთავრობის განკარგულებაში.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ დამფუძნებელი კრება ერთხმათ ღებულობს დეკრეტს.

სხდომა იხურება 4 საათზე და 25 წუთზე.

## საერთაშორისო სავაჭ.-სამრეწველო მუზეუმი

**დაარსებული ტფილისში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ და მისი განყოფილებანი, რომელნიც გახსნილ იქნებიან სხვა ქალაქებშიაც.**

მუზეუმის მიზანია სამეცნიერო სანიმუშო სამსახური გაუწიონ ეკონომიურ ურთი-ერთობის შესწავლას საქართველოსი, ადერბეიჯანისა, სომხეთისა, დანარჩენ კავკასიისა და შუა აღმოსავლეთისა; უწინარეს ყოვლისა იგი გამოარკვევს იმპორტ-ექსპორტის პრაქტიკულ საკითხებს და ყოველ გვარ შუამავლობას გაუწევს საქონლის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლას და დაახლოვებას.

მუზეუმი გაყოფილი—ა) ექსპორტის შემდეგ განყოფილებად: 1) სასოფლო მეურნეობისა, 2) შინამრეწველობისა და ხელოსნობისა, 3) საფაბრიკო საქარხნო, 4) სამთო-მადნო და 5) გადასატან-შესაკრავი. ბ) იმპორტის ნიმუშები დალაგდება განსაზღვრულ სისტემაზე ევროპისა და აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნების პავილიონებში—ინგლისისა, გერმანიისა, საფრანგეთისა, იტალიისა, რუსეთისა, იაპონიისა და სხვა.

ნიმუშები (ექსპორტები) მიღებულ იქნებიან მუზეუმში დიდებიც და მცირენიც. ფორმები, ადრესები და სხვა საჭირო ცნობები დაიბეჭდება კატალოგებსა და გაზეთებში და აგრეთვე გამოფენილ იქნებიან თვითონ მუზეუმში. პალატასთან არსებული „ცნობათა ბიურო“ განმარტებას მისცემს მრეწველებსა და ხელოსნებს შესახებ იმისა, თუ სად და როგორ შეიძინება ნედლი მასალა და საწარმოვო იარაღი, ან სად და როგორ გაიყიდება მათი ნაწარმოები.

მუზეუმი შეადგენს და მოაწყობს სამეცნიერო-ტეხნიკურ კოლექციებს, სპეციალურ და მოძრავ გამოფენებს, სპეციალურ სამკითხველო-ბიბლიოთეკებს სასარგებლო ცოდნის გასავრცელებლად, ლექციებსა და კურსებს, ბეჭდავს ტეხნიკურ განათლების სახელმძღვანელებს, გზავნის ახალგაზრდებს უცხოეთში შრომის პრაქტიკაზე შესასწავლად მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგებისა.

ყოველ მუშაკს შეუძლიან გახდეს მონაწილე ან დამხმარე წევრი მუზეუმისა, მიუტანოს სარგებლობა საზოგადო საქმეს და თვითონაც ისარგებლოს მისგან. თუ კავკასიის ყველა მრეწველნი გაუწევენ ძმურ დახმარებას—„საერთაშორისო მუზეუმს“, იგი შეიძლება გადაიქცეს დიდ და მუდმივ გამოფენად და სარკედ მთელი კავკასიის საქმიანობისა და კულტურულ განვითარებისა. პალატა ამ საქმეში ყველასგან და ყოველმხრივ დახმარებას მადლობით მიიღებს. დაწვრილებითი პროგრამები და შეკითხვის ბლანკები ყველა მსურველს გაეგზავნება.

საერთაშორისო სავაჭრო სამრეწველო მუზეუმი დროებით, 1919 წ. შემოდგომიდან მოთავსდება სავაჭრო სამრეწველო პალატის ბინაზე, სოლოლაკში, ფრეილინის ქ., № 11. კანცელარია ღია იქნება ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 10—2 საათამდის.

## მიმოსვლისათვის

საქართველოს ნავთასადგურების უფროსი ინჟინერი ანდრონიკოვი შემდეგს გვატყობინებს: იტალიის სანაოსნო საზოგადოება „ლოიდ ტრიესტინო“-მ მოაწყო სამგზავრო გემების პირდაპირი მიმოსვლა შემდეგ პორტებს შუა: ფოთი—ბათუმი—ნოვოროსისკი—ოდესა—კონსტანცა—ვარნა—სტამბოლი—პირეი—ბრინდიზი—ტრიესტი უკან დაბრუნებით.

აღნიშნული სანაოსნო საზოგადოება არის ყოფილი „ავსტრისკი ლოიდი“-ს მაგიერი და უკანასკნელის გემებიც „ლოიდ ტრიესტინოზე“ გადმოვიდა.

პირველი სამგზავრო გემი მოვიდა ფოთში ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, დილის 8 საათზე. შემდეგი გემი მოვა ნოემბრის 1 ს. ყოველ ორ კვირაში სისტემატიურათ ივლის აღნიშნულ საზოგადოების სამგზავრო გემი.

## საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ სამკურნალოებს და სათანადო ორგანიზაციებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილება, როგორც სახალხო ჯანმრთელობის ცენტრალური ორგანო, ყოველგვარ ცნობებს უნდა კრებდეს რესპუბლიკაში ავადმყოფობის მსვლელობაზე და ადგენდეს სტატისტიკას. მხოლოდ სტატისტიკას შეუძლია დაგვიხატოს ხალხის ჯანმრთელობის საერთო სურათი და გვიკარნახოს მომავალისთვის აუცილებელი ღონისძიებანი ამ ფრიად დიდი და იმავე დროს მეტად რთული საქმის ღირსეულ სიმაღლეზე დასაყენებლად. სამწუხაროთ, საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ ვერ შესძლო სტატისტიკის შედგენა, რადგან სამკურნალო დაწესებულებანი ან სულ არ გვაწვდიან ან იშვიათად გზავნიდენ საჭირო ცნობებს. განვლილ წელს ფინანსიურად ცუდ პირობებში მყოფმა სახელმწიფომ საკმაოდ დიდი თანხა გაიღო სახალხო ჯანმრთელობის საქმის მოსაწესრიგებლად, და ცხადია მომავალში კიდევ მეტს გაიღებს. საექიმო-სასანიტარო განყოფილებამაც დიდი შრომა გასწია იმავე საქმისთვის და განვლილი მუშაობის აწონდაწონა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინება და დროისა და გარემოების შესაფერათ ნაკლის გამოსწორება რამდენადმე მაინც, შეუძლებელი ხდება, რადგან ხელთ არ გვაქვს სტატისტიკა, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ, ამიტომ, საექიმო სასანიტარო განყოფილება თხოვს როგორც ხელქვეით, აგრეთვე რესპუბლიკაში არსებულ ყველა სამკურნალოებს და სათანადო ორგანიზაციებს აუცილებლათ გადმოგზავნონ განყოფილებაში წარსული ნახევარი წლის სრული ანგარიში ავადმყოფობის მოძრაობის შესახებ, და ზემო-აღნიშნულ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაშორებლად, სისტემატიურად მოგვაწოდონ ასეთი ცნობები მომავალშიაც. ავადმყოფები უნდა გაიყოს ორ კატეგორიად: გადამდები სენით შეპყრობილნი და ჩვეულებრივნი. პირველ კატეგორიაზე ცნობები უნდა იგზავნებოდეს ყოველ კვირეულათ, ხოლო მეორეზე—ყოველ თვიურათ.

საექიმო-სასანიტარო განყოფილების უფროსი **ხ. ჯაფარიძე.**

## კოოპერატივთა კავშირის მოღვაწეობიდან.

**კულტურულ განმანათლებელ განყოფილების მოქმედება 1918 წლის განმავლობაში.**

1918 წელს სრული წელიწადი უმუშავნიათ 7 ინსტრუქტორს, ერთს 9 თვე, ერთს 4 თვე და დანარჩენებს თითო თვე. ამ უკანასკნელთა მუშაობა უნდა ჩაითვალოს, როგორც პრაქტიკანტების მუშაობათ და ამ გვარად ნამდვილი მომუშავე ინსტრუქტორი იყო 8 თუ მივიღებთ მხედველობაში მოკავშირე ამხანაგობების რიცხვს, რომელთ შორისაც უხდებოდათ ინსტრუქტორებს მუშაობა, რომელიც 1918 დაახლოვებით უდრიდა 800, თითო ინსტრუქტორზე მოდის 100 კოოპერატივი. რასაკვირველია ასეთ რიცხვს კოოპერატივებისას, სადაც თითქმის არც ერთგან არ იყო დაყენებული საქმეები თავის წეს და რიგზე, ერთი ინსტრუქტორი ვერ გასწვდებოდა. ამიტომ შესაძლებელია, რომ 1918 წლის განმავლობაში მაღალი რიცხვი კოოპერატივისა ინსტრუქტორულ ხელმძღვანელებას ვერ ღირსა. ინსტრუქტორების მიერ წლის განმავლობაში დათვალიერებულია 382 რაც კოოპერატივების საერთო რიცხვთან შედარებით დაახლოვებით შეადგენს 48%. ამგვარად კოოპერატივების საერთო რიცხვის თითქმის ნახევარი დაუთვალიერებიათ ინსტრუქტორებს. ამასთან ერთად ინსტრუქტორებს მოუწყვიათ 6 სარაიონო კავშირი, შეუდგენიათ 282 ანგარიში, 135 კოოპერატივის სტატისტიკური ცნობები შეუკრივებიათ, კოოპერატივის და 16 სარაიონო კავშირის საზოგადო კრებას დასწრებიან და ამასთან ერთად უმუშავნიათ კოოპერატიულ კურსებზეც. თუ ავიღებთ 8 ინსტრუქტორის მიერ წლის განმავლობაში დათვალიერებულ კოოპერატივების რიცხვს 349, თითო ინსტრუქტორზე თვეში საშუალოდ მოდის 1 დათვალიერებული კოოპერატივი. ეს რიცხვი ერთი შეხედვით თითქოს ძალიან მცირეა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ: 1. ინსტრუქტორებს დიდი დრო ეკარგებოდათ კოოპერატივებში ისეთ აშეწილ დაწეწილ ანგარიშების შედგენაში, სადაც საბუთების ძებნა სხვა და სხვა კუთხეებში უხდებოდათ, 2. კურსებზე მუშაობას, არა ნაკლებ 15—20 დღის სამუშაო იყო, 3. რაიონულ კავშირების მოწყობას, 4. საზოგადო კრებებზე დასწრებას და 5. ცენტრში საორგანიზაციო მუშაობისთვის კრებებზე დახარჯულ დროს, მაშინ აშკარა იქნება, რომ ამ პირობებში ამაზე მეტის მოსწრება ყოვლად შეუძლებელი იყო. ინსტრუქტორებს ბევრს აკარგვინებდა ის გარემოება, რომ ერთის მხრივ კოოპერატივებში სიარული მათ უხდებოდათ ცენტრიდან და მეორე მხრივ, ვინაიდან 1918 წელს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ინსტრუქტორთა კოლეგიის საორგანიზაციო მუშაობა, ინსტრუქტორებს სჭირდებოდათ ხშირ-ხშირად შეკრება ტფილისში თავის მუშაობის სხვა ინსტრუქტორთათვის გასაზიარებლად, პრაქტიკულ და პრინციპიალურ კითხვების გადასაწყვეტად და მუშაობის გეგმის შესამუშავებლად. წლის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში ასეთი კრება იყო 12 ჯერ, რაზედაც მიხმარდა საშუალოდ 60 დღე მაინც. მაგრამ ეს დრო ტყუილად არ იყო დაკარგული. ამ ხშირი კრებების შემწეობით შეიქნა ცოტაოდენად საკმარისი ჯგუფი მომზადებულ ინსტრუქტორებისა, რაც საძირკვლად დაედება ნორმალურ გაფართოებულ ინსტრუქტორთა კოლეგიას, ეს იყო ერთ გვარი პრაქტიკული სკოლა ინსტრუქტორებისა და ამავე კრებების შემწეობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინსტრუქტორთა კოლეგია და მისი მუშაობის გეგმა. უკვე 1918 წლის დამლევს საძირკველი ჩაეყარა ინსტრუქტორების რაიონებში მუშაობას. ამ მიზნით ინსტრუქტორთა კოლეგია დაიყო კოოპერატივებათ: ერთი კატეგორიას, რომელიც უფრო მომზადებული და დახელოვნებული იყო ინსტრუქტორულ მუშაობაში, დაევალა ორგანიზაციული მუშაობა ცენტრში და რაიონულ კავშირების და რაიონში მომუშავე ინსტრუქტორების ხელმძღვანელობა, კურსების მოწყობა, ინსტრუქტორთა ნამუშევარის მასალების დამუშავება, რაიონების შესწავლა კოოპერატიულ-ეკონომიურ მხრივ, გამომცემლობა და სხვა და სხვა, და მეორე კატეგორიას ცალკე კოოპერატივების ხელმძღვანელობა, რისთვისაც მათ დაევალათ ადგილობრივ რაიონებში ცხოვრება, რომ უფრო ახლოს ყოფილიყვნენ კოოპერატივებთან.

1918 წლის პირველ ნახევრის დამლევამდე ინსტრუქტორთა კოლეგიის სიმცირის და საორგანიზაციო მუშაობის დაუმთავრების გამო ყველა რაიონებში ვერ იყო თანასწორად დანაწილებული ინსტრუქტორთა ძალები. ქუთაისის გუბერნია უფრო მოკლებული იყო ინსტრუქტორულ დახმარებას, რაც აიხსნება იმით, რომ დაშორებული იყო ცენტრს. წლის ბოლო თვეებში, ნოემბრის პირველ რიცხვებიდან, უკვე მოხდა ცოტათ თუ ბევრათ თანასწორი დანაწილება არსებულ ინსტრუქტორთა ძალების. ამ დრომდის მთელი ჩვენი სამოქმედო ტერიტორია დაყოფილია 4 დიდ და 8 პატარ-პატარა რაიონებად. დიდი რაიონები დაყოფილია 4 უფროს კატეგორიის ინსტრუქტორთა შორის ამნაირად: 1 რაიონია ოზურგეთის მაზრა, მე-2 ზუგდიდის, სენაკის, რაჭის და ლეჩხუმის, მე-3 შორაპნის და ქუთაისის მაზრა და მე 4 ტფილისის, გორის დუშეთის, თიანეთის, თელავის და სიღნაღის მაზრები. თვითეული ეს დიდი რაიონები დაყოფილია პატარ-პატარა რაიონებად, სადაც მუშაობენ მეორე კატეგორიის ინსტრუქტორები. ასეთი წესით დაყოფილი მუშაობა, რასაკვირველია, აღარ გამოიწვევს უთანხმოებას და ინსტრუქტორები უფრო დაახლოვებულნი იქნებიან კოოპერატივებთან.

როგორც ვხედავთ ზემოთ აღნუსხულიდან, ინსტრუქტორულ მუშაობის დარგში ორგვარი მოქმედება სწარმოებდა 1918 წლის განმავლობაში. ერთი მხრივ ინსტრუქტორთა ძალები ხმარობდნენ უმთავრესად კოოპერატივებში ტეხნიკურ მხარის მოწყობას და კოოპერატიულ პრინციპებზე მუშაობის დამყარებას და მეორე მხრივ პრაქტიკულ მუშაობის პროცესში მზადდებოდა საჭირო კადრი ინსტრუქტორებისა. ეს უკანასკნელი აუცილებლივ საჭირო იყო, ვინაიდგან ჩვენ არც მაშინ და არც ეხლა არ მოგვეპოვებიან ისეთი მომზადებულნი პირნი, რომელთაც შეუძლიათ ინსტრუქტორული მუშაობა. ამასთან ერთად კავშირის ინსტრუქტორების დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი ქონდათ კოოპერატივებში. ეს ბოროტმოქმედებანი, როგორც ირკვევოდა ყოველთვის ინსტრუქტორთა მოხსენებებიდან ჩნდებოდნენ უმთავრესად იმ მიზეზით, რომ კოოპერატივების საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო და ბევრგან კოოპერატივების სვე ბედი საზოგადოებას მავნე პირების ხელში იყო ჩავარდნილი. ამგვარ მოვლენებთან ბრძოლა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ორი საშუალებით: კოოპერატივების საქმეების მოწყობით, რასაც აკეთებდნენ ინსტრუქტორები და სასტიკი კონტროლი კავშირის მხრივ. ყოველთვის, როდესაც კი კოოპერატივებს საქონლის შეძენის დროს მხოლოდ კავშირთან ქონდათ დამოკიდებულება, იშვიათად შეხვდებოდით ბოროტმოქმედებას, მაგრამ თუ კოოპერატივი გამოდიოდა კერძო ბაზარზე, ან იძენდა საქონელს მთავრობის და სხვა საზოგადო დაწესებულებიდან, უქველად ხდებოდა ბოროტმოქმედება კოოპერატივის სახელით. ამიტომ კავშირი ყოველივე საშუალებებს ხმარობდა აღეკრძალა კოოპერატივების კერძო გამოსვლა, მაგრამ სამწუხაროდ იგი დახმარებას ვერ იღებდა საზოგადო დაწესებულებიდან. ამიტომ ინსტრუქტორთა კოლეგიას საკმარისი დრო ეკარგებოდა ბოროტმოქმედებების აღმოჩენაში და საორგანიზაციო მუშაობაში.

ჩვენი კოოპერაციის მდგომარეობას მარტო ინსტრუქტორული დახმარება ვერ გაამაგრებს. კოოპერატივების ანგარიშების მოწყობაში, საერთო პრაქტიკულ მუშაობაში და კოოპერაციის პრინციპების გავრცელებაში ინსტრუქტორთა მუშაობა საკმარის კვალს ვერ დაამჩნევს თუ რომ ჩვენ ცენტრშიაც და ადგილობრივაც არ გვეყოლებიან ნამდვილი კოოპერატორები და კოოპერაციის საქმეში თეორეტიულად და პრაქტიკულად მომზადებულნი მუშაკნი. ასეთ მუშაკების შესაქმნელად და კოოპერატიულ განმანათლებელ სხივების მოსაფენად, გარდა ადგილობრივი ერთდროული მოკლე ვადიანი კურსებისა, საჭიროა მუდმივი ცენტრალურ კოოპერატიული სკოლის არსებობა. ასეთი სკოლის დაარსების სურვილი წარსულმა საზოგადო კრებამაც გამოთქვა. 1918 წლის მეორე ნახევარში კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებამ შეიმუშავა წესდება კოოპერატიულ სკოლისა, სამოსწავლო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. მხოლოდ სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა, ვინაიდგან ცენტრალურ კავშირს არ შეეძლო მხოლოდ საკუთარი თანხებით ეწარმოებინა სკოლის საქმე და ადგილობრივმა კოოპერატივებმა და სარაიონო კავშირებმაც ვერ გამოიჩინეს საჭირო მუყაითობა ხარჯებში დახმარების მხრივ.

(დასასრული იქნება)

## სატარიფო პალატაში

(დასასრული)

მუშებისათვის საქონლის იაფ ფასებში მისაწოდებლათ საჭირო ფონდის დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე. მთავრობამ, ამბობს მომხსენებელი, მოიწონა სატარიფო პალატის მოხსენება შესახებ მუშა მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგანთა იაფ-ფასებში მისაწოდებლათ საჭირო ფონდის დაარსების შესახებ და შეიტანა დამფუძნებელ კრებაში დეკრეტი ამ საქმისათვის 50 მილ. მან. გადადების შესახებ. დეკრეტი უფლებას აძლევს მთავრობას, როდესაც ის ამას საჭიროთ დაინახავს დაურიგოს მუშებს პური და სხვა პირველი საჭიროების საგნები ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში და ამ გზით წარმოშობილი ზარალი დაფაროს სახელმწიფო ფონდიდან, მას უფლება აქვს აგრეთვე დაურიგოს ეს საქონელი ნისიათ და ხვედრი ფული მიიღოს მუშებისაგან ნაწილ ნაწილად. ამ განზრახულ ორგანიზაციაში შესვლის ნება აქვს ყველა საზოგადო და კერძო წარმოებებს იმ პირობით, რომ ისინიც შეიტანენ მათ ხვედრ თანხას, ხოლო სანამ ისინი ამ თანხას არ შეიტანენ, ამ წარმოების მუშებს ეკარგებათ საქონლის მიღების უფლება.

ამ საქმის ე. ი. მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის იაფ-ფასებში მიწოდების საქმის მოწყობა ენდობა მთავრობას და მასთან მჭიდრო კავშირში მომუშავე (ამ საქმეში) სატარიფო პალატას. არ არის ჯერ კიდევ გამორკვეული თუ რომელ უწყებაში იქნება მოთავსებული ეს ორგანიზაცია.

დიდ, ხანგრძლივ კამათს იწვევს საკითხი იმის შესახებ თუ ვის მიერ იქნება დაფარული ზარალი, მიღებული საქონლის მუშათათვის ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში მიწოდებით. ეს ზარალი იქნება აღდგენილი იმ ფონდიდან, რომელიც ეხლა უნდა შედგეს, თუ მის ანაზღაურებას იკისრებს თვით სახელმწიფო.

**ხანდამოვი** კმაყოფილია იმით, რომ მთავრობას შემოაქვს წარმოებაში ინგლისური სისტემა—მუშებისთვის საქონლის იაფ ფასებში მიწოდება და მოითხოვს, რომ ასეთი გზით, წინდაწინ განზრახვით მიღებული ზარალი ანაზღაურებულ იქნას თვით სახელმწიფო ხარჯზე და არა იმ ფონდიდან, რომელიც ეხლა არსდება. კერძო და საზოგადოებრივი მწარმოებელთათვის ამ საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ისინი შევლენ ამ ორგანიზაციაში მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ზარალი ანაზღაურებულ იქნება სახელმწიფო ხარჯზე და არა იმ ფონდიდან, თუ ეს ზარალი ანაზღაურებულ იქნება სახელმწიფოს მიერ, მაშინ ეს გარემოება მისცემს სტიმულს კერძო და საზოგადოებრივ მწარმოებელთა ამ ორგანიზაციაში შემოსვლისას.

**ბრეგვაძე** მოითხოვს, რომ ჯერ შესდგეს ეს ფონდი და ლაპარაკი იმაზე თუ რომელ წყაროდან უნდა იქნეს ანაზღაურებული ეს ზარალი, მოხდეს მის შემდეგ.

**იბდუშელი** აღნიშნავს, რომ მწარმოებელს, როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიც სწადიათ გვერდი აუხვიონ ამ საკითხზე პირდაპირი პასუხის მიცემას და ამით გაანიანურონ საქმის მოწესრიგება.

სატარიფო პალატამ წინადადება მისცა შეექმნათ ამ საქმისათვის საჭირო ფონდი, ერთმა დაინტერესებულმა მხარემ—მთავრობამ უკვე მოგვცა დადებითი პასუხი ამაზე, ეხლა კერძო მწარმოებელთა რიგია, რომელთაც გადაჭრით უნდა სთქვან: სწადიან მათ შეასრულონ სატარიფო პალატის დადგენილება თუ არა.

**მუხარინსკი** აღნიშნავს, რომ კერძო მწარმოებელთ არ შეუძლიათ ამ ორგანიზაციაში შესვლა მანამ, სანამ არ გამოირკვევა ყველა პირობები ამ ორგანიზაციაში შესვლისა.

**დობორჯგინიძე** ამტკიცებს, რომ მუშათა სექცია იძულებულს გახდის კერძო მწარმოებლებს შემოვიდნენ ამ ორგანიზაციაში. ნუ იქნებიან კერძო მწარმოებლები დამშვიდებული იმით, რომ მუშები დღემდე არ უყენებდნენ მათ კატეგორიულ მოთხოვნებს. დღემდე ისინი კიდე ითმენდენ და უცდიდენ იმას, თუ რას იზამდნენ მწარმოებლები, მაგრამ მომავალში ამას ადგილი არ ექნება, ამის ნიშნები უკვე არის—ბეჭდვითი საქმით პროფესიონალურმა კავშირმა უკვე გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ისინი მოითხოვენ მწარმოებლებისაგან ამ ფონდის შექმნას. სხვა კავშირებიც რასაკვირველია ამ გზას გაყვება. საჭიროა დამტკიცებულ იქნას სატარიფო პალატის დადგენილება ამ ფონდის დაარსების საჭიროების შესახებ და მიეცეს კერძო მწარმოებლებს წინადადება, რათა მათ შეიტანონ ხვედრი თანხა ამ ფონდის დასაარსებლათ. მუშებმა უკვე შეასრულეს ყოველივე ის, რაც მათ მოეთხოვებოდათ, ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

**მუხარანსკი** წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია მთავრობასთან იმაზე მოსალაპარაკებლათ, თუ რა პირობები იქნება მიღებული ამ ორგანიზაციაში შესასვლელათ.

კამათის დათავების შემდეგ ამ საკითხზე გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება:

1) ერთი კვირის განმავლობაში უნდა შესდგეს ეს ფონდი.

2) სატარიფო პალატის პრეზიდიუმი დახმარებას უწევს მწარმოებელთა სექციას მის მთავრობასთან მოლაპარაკებაში ფონდის დაარსების საქმეზე.

ეს სატარიფო პალატის მიერ გამოტანილი დადგენილებანი, მწარმოებელთა წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან გააცნონ ყველა კერძო მწარმოებლებს.

მოწონებული იქნა სატარიფო პალატის პრეზიდიუმის დადგენილება შესახებ ტრამვაის მუშების, მელითონეთა კავშირის და ფარმაცევტთა ხელფასის გადიდებაზე აღძრულ შუამდგომლობის უარყოფაზე, ვინაიდან სატარიფო პალატის დადგენილებით შექმნილი 100 მილ. ფონდი მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის იაფ ფასებში მისაწოდებლათ, ხსნის დღის წესრიგიდან მუშათათვის ხელფასის გადიდებას.

მწარმოებელთა წარმომადგენლის შეკითხვაზე თუ როგორ უპასუხონ მათ მუშების მოთხოვნილებას ავანსის მიცემაზე, სატარიფო პალატა განმარტავს, რომ ის ავანსი, რომელიც მუშების ჯამაგირიდან გამორიცხულ იქნება, უნდა ეძლეოდეს მუშებს ისევე, როგორც ამას ღებულობდნენ ისინი დღემდე მწარმოებლებთან შეთანხმებით, ხოლო ისეთ ავანსის გაცემა, რომელიც მწარმოებელს უკან არ უბრუნდება, არ უნდა ხდებოდეს სატარიფო პალატის სანქციის გარეშე.

სატარიფო პალატის სხდომის დღეთ ნაცვლათ ხუთშაბათისა, ინიშნება 1 ნოემბრიდან—ორშაბათი.

## მილიციაში.

10 ოკტომბერს სახერხო ქარხნის (დიდი მთავრის ქ. № 8) მოიჯარადრე ალექსანდრე გაგლოევმა გამოუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ ქარხნიდან მოიპარეს ოთხი ტყავის ღვედი ღირებული 25 ათას მან. იმავე დღეს სისხლ. სამ. მილიციამ აღმოაჩინა დაკარგული და პატრონს გადასცა.

18 სექტემბერს დაიკარგა უმცროსი მილიციონერი ტფილისის სისხლ. სამ. მილიციისა გრიგოლ იულიანის ძე როინიშვილი, რომელიც აღნიშნულ რიცხვის მორიგეობის გამო გამოვიდა სისხლ. სამ. მილიციის ბინიდან, განოვის ქ., № 12 და შემდეგ აღარ დაბრუნებულა არც სამსახურში, არც სახლში. ვინც იცის სად არის როინიშვილი, ვალდებულია განუცხადოს სისხლ. სამ. მილიციას. ნიშნები: 23 წ., მაღალი, ულვაშებიანი, აცვია ლურჯი ფრენჩი, თეთრი შარვალი, შავი წაღები და შავი ქუდი. თხოვენ გადაბეჭდონ ბაქოსა და ბათუმის გაზეთებმაც.

14 ოკტომბერს სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ჯიბგირი გიორგი ასლიბეკოვი, 28 წლ., რომელმაც გლეხს ზაქარია ვარსიმაშვილს ჯიბიდან ამოართვა 850 მ. დამნაშავე გადაეცა მე-8 უბ. მომრიგებელ მოსამართლეს.

სისხლ. სამ. მილიციამ 13 ოკტომბერს დააპატიმრა ქურდები: ალექსანდრე ოქრუაშვილი, იაკობ ზანდუკელი, ძმ. პლატონ და პეტრე ძაგნაძეები და პეტრე გიგაია. ისინი დაპატიმრებული არიან 3 თვით.

ამავე მილიციამ დააპატიმრა ნინო სიმონია, რომელსაც ბრალი ედება ალექსანდრე ნანობაშვილის ავეჯეულობის მოპარვაში.

ამავე მილიციამ დააპატიმრა მიხეილ შიდლოვსკი, ნინო ბაიახჩევი, შარლოტა ციმერმანი და ელისაბედ სიმონოვა, რომელთაც ბრალი ედებათ სახაზინო ქონების მითვისებაში.

## სხვა და სხვა.

◆ ადრინდელის, ანუ ქართულის უძველესის ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებლის, განსვენებულის ივანე კერესელიძის მეუღლეს ღრმათ მოხუცებულს (85 წლის) ჩვენი მთავრობისათვის მიუმართნია და თავის უმწეო მდგომარეობა მოუხსენებია და თან დავალება მიურთმევია, რომ ეგები ჩემს მოხუცებულებას და უმწეო მდგომარეობას ყურადღება მიაქციოთ და დამეხმაროთ რამეთო.

ივანე კერესელიძემ ჟურნალი „ცისკარი“ დაარსა, ანუ განაახლა და გამოცემა დაიწყო 1857 წ. ამ ჟურნალმა 1875 წ. იარსება. ამავე რედაქტორმა 1862 წ. დაიწყო გამოცემა პირველათ ქართულ ენაზედ სამეურნეო გაზეთ „გუთნის დედა“. ერთმაცა და მეორემაც ქართველ საზოგადოებას დიდი ამაგი, დიდი სამსახური გაუწია, ჩვენმა წარჩინებულმა მწერლებმა სულ ამ ჟურნალით დაიწყეს მწერლობა და წერის შეჩვევაც.

ამ ჟურნალის არსებობით მიეჩვივნენ წერას ილია ჭავჭავაძე, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, მამია გურიელი, ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსი და ბევრიც სხვანი.

◆ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგა და ხანგრძლივათ ესაუბრა სომხეთის ფინანსთა მინისტრი ს. არარატიანი.

◆ ქუთაისში გამოვიდა „მომავალის“ გამოცემა ალგებრულ ამოცანათა კრებული კ. მ. კანდელაკისა.

◆ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სოფ. კიწიაში (სენაკის მაზრა) ტელეგრაფის ნომრის გაყვანამდის აწარმოებს მხოლოთ ფოსტის ოპერაციებს. კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლა ხდება ნაქალაქევთან, რომელიც შორავს კიწიას 18 ვერსით.

განზრახულია საერობო აგრონომების ყრილობის მოწვევა სპეციალურ აგრონომიულ საკითხების გასარკვევად.

◆ ზოგიერთმა სამაზრო ერობამ სოფლებში დაგზავნა ინსტრუქტორები გადასახადების მოკრების საქმის მოსაწესრიგებლად.

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე